

ინფორმაცია სადოქტორო სკოლის ინგლისური ენის მისაღები გამოცდის შესახებ

ინგლისური ენის გამოცდა სავალდებულოა მხოლოდ იმ აპლიკანტებისთვის, რომლებიც ვერ წარმოადგენენ ინგლისური ენის B2 დონეზე ცოდნის დამადასტურებელ სერტიფიკატს ან სწავლების წინა საფეხურზე განათლების ინგლისურ ენაზე მიღების დამადასტურებელ დოკუმენტს. ინგლისური ენის საგამოცდო ტესტი ამოწმებს აპლიკანტის ცოდნას წაკითხულის გააზრებაში, ლექსიკურ-გრამატიკულ კომპეტენციასა და წერის კულტურაში.

ინგლისური ენის გამოცდა შედგება სამი ნაწილისაგან:

- ა) წაკითხულის გააზრება, რომელიც მოიცავს სამ ტექსტსა და მათ ანალიზს;
- ბ) ლექსიკურ-გრამატიკული სავარჯიშოები, რომელიც ამოწმებს შესაბამისი დონის ლექსიკურ და გრამატიკულ კომპეტენციას;
- გ) წერითი დავალება, რომელიც ამოწმებს აპლიკანტის შინაარსობრივად, ლოგიკურად, ლექსიკურად და ორთოგრაფიულად გამართული წერის უნარს.

ინგლისური ენის საგამოცდო ტესტი ფასდება 100 ქულიანი სისტემით.